ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 113
(საქონლის შესყიდვა)

ქალაქ ფოთი **„05“** ივლისი 2019 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები
ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, შემდეგში ,,შემსყიდველი“, წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს მხრივ შპს ,,მედიკავეტ-ჯორჯია", შემდეგში ,,მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზი ლელაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 17 აგვისტოს, N 13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 შესყიდვის ობიექტი: 50 (ორმოცდაათი) ლიტრი სნეიქ რანის შესყიდვა.
2.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.
2.3 კლასიფიკატორის დანაყოფი: 24300000 - ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატები.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 24310000 - ძირითადი არაორგანული ქიმიკატები.

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 2500 (ორიათასხუთასი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
3.2 დაფინანსების წყარო: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

4. საქონლის მოწოდების ფორმა, ადგილი და ვადა
4.1. საქონლის მოწოდების ფორმა - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4.2 საქონლის მოწოდების ადგილი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12.
4.3 საქონლის მოწოდების ვადა: 2019 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

5. ანგარიშსწორების პირობები და ვადები
5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების (გადარიცხვა) ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ლარი.
5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და მოწოდებული საქონლის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება - ჩაბარების წესი
6.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ, უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელიც ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნციპალიტეტის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. სამსახურის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
6.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა
7.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.1.1 მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული საქონლის რაოდენობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
8.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ქალაქ ფოთის

მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კონსტანტინე ლაბახუა.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.2.2 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1 უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

8.3.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.3 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ნაკლის გამოსწორება ან ნაკლიანი ნივთის შეცვლა ხორციელდება ნივთებზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად.

8.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

10.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

10.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

10.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.

10.6 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ, საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები
13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.2 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	**შპს „მედიკავეტ-ჯორჯია"**
ს/კ 215138143	ს/კ 406190811
მის: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12	მის: ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი კ.ერისთავის ქუჩა N3/2
	სს „პროკრედიტბანკი“, ბ/კ MIBGGE22,
	ა/ა GE 21 PC 0263600100017698

Gocha Kurdgelia
Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.07.05 17:47:42 +04'00'

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორი
გოჩა კურდღელია	**რევაზი ლელაძე**

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი ,,05" ივლისი 2019 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ვადასტურებ, რომ შპს ,,მედიკავეტ-ჯორჯია"-სთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი

,,05" ივლისი 2019 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კონსტანტინე ლაბახუა ვადასტურებ, რომ შპს ,,მედიკავეტ-ჯორჯია"-სთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში და ჩემი მონაწილეობა, 50 (ორმოცდაათი) ლიტრი სნეიქ რანის შესყიდვის განხორციელებასთან, დაკავშირებულ საქმიანობაში (ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა) არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური
უზრუნველყოფის სამსახურის, მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის განყოფილების, მეორე კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი

კონსტანტინე ლაბახუა